ლენინგრადი–თბილისი

13 მაისს ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე ჩატარდა პირველი შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ ლენინგრადისა და თბილისის “დინამოების” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

თამაშის დაწყების წინ შესდგა 1945 წლის ფეხბურთის სეზონის საზეიმო გახსნა. სიტყვა წარმოსთქვა თბილისის სპორტული საზოგადოება “დინამოს” ფეხბურთის სექციის თავმჯდომარემ ამხ. მ.ლ. მიჩურინმა, შემდეგ სსრ კავშირის პირველობაზე გათამაშების გახსნაში მონაწილე გუნდების კაპიტნებმა საზეიმო ვითარებაში აღმართეს სსრ კავშირის პირველობის დროშა.

დაიწყო თამაში. მე–15 წუთზე თბილისელმა ანთაძემ გაიტაცა ბურთი და გადასცა პანიუკოვს. ამ უკანასკნელმა ზუსტი კუთხური დარტყმით გახსნა ანგარიში. პირველი ტაიმი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ ანგარიშით 1:0.

თამაშის მეორე ნახევრის პირველ წუთებში უტევდნენ თბილისელები. მეოთხე წუთზე ღოღობერიძემ ბურთი გადასცა პანიუკოვს, რომელმაც მძლავრი დარტყმით გაიტანა მეორე ბურთი. თამაშის ბოლო წუთები ლენინგრადელების უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ მათ ვერ შესძლეს ბურთის გატანა.

შეხვედრა დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით, ანგარიშით 2:0.

“კომუნისტი”, 15 მაისი 1945 წ.